ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სასტუმროებისთვის

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების მოქმედების ფარგლებში ყველა ტიპის სასტუმროს მიერ, რომელიც აგრძელებს მუშაობის პროცესს, ვალდებულია სამუშაო პროცესი განახორციელოს ჯანდაცვის მინისტრის რეკომენდაციების შესაბამისად.

- **სასტუმროს ადმინისტრაციამ სამუშაო სივრცეში უნდა განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:**

- ერთიან შესასვლელთან მოაწყვეთ თერმოსკრინინგის კამერა სკანირებისთვის, რათა სამუშაოს დაწყების წინ გააკონტროლოთ პერსონალის/მომხმარებლების ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით;
- განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას ორგანიზაციის მიერ გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების გეგმა COVID-19 თან დაკავშირებით;
- განათავსოს თვალსაჩინო ადგილას სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების პერიოდულობის შესახებ ინფორმაცია და მათი გამოყენების წესები;
- განთავსდეს ჰიგიენური საშუალებებით დაცვის ღონისძიებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია სათანადო ადგილას (მათ შორის ხელის დაბანის, ნიღბის, ბახილების და ხელთათმანის მორგების, ტარების და მოცილების წესების შესახებ);
- მოხდეს სასტუმროს ტერიტორიაზე ზედაპირების მუდმივი დასუფთავება/დეზინფექცია სათანადო წესით, (ყოველ 3 საათში ერთხელ). ასევე განხორციელდეს ყველა იმ ზედაპირის დამუშავება რომელთანაც შეხება უწევს სასტუმროს ვიზიტორებს ან სივრცეში მყოფ პირებს (მათ შორის კარის და ფანჯრის სახელურები, კიბის მოაჯირები, ლიფტის ღილაკები და სხვა ხშირად შეხებადი ზედაპირები);
- დაიცავით დისტანცია (მინ. 2 მეტრი) სასტუმროს საერთო მოხმარების სივრცეებში;
- ობიექტზე უზრუნველყოფილ იყოს სასტუმროს ტეირიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირის მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;
- მოხდეს დღეში რამდენჯერმე სასტუმროს სივრცეში არსებული დახურული სივრცეების/ სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია და ადამიანთა კონცენტრაციის ადგილების სველი წესით დასუფთავება;

- **ღონისძიებები ვიზიტორთა მიმართ:**

StopCoV.ge 1505 116 001

- განახორციელეთ ვიზიტორთა მუდმივი ტემპერატურული კონტროლი მუდმივად, სასტუმროს ტერიტორიაზე შესვლის წინ (დისტანციური მზომი ხელსაწყოს ან თერმოსკანერის ან ვიდეოსკანერის მეშვეობით).;
- სატუმროს შესასვლელში განათავსეთ დეზობარიერი;
- არ დაუშვათ ვიზიტორები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე სასტუმროს ტერიტორიაზე, იმ შემთხვევაში თუ ვიზიტორს არ აქვს თავად ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე, სასტუმროს ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს მათი აღჭურვა;

➢ **ღონისძიებები დასაქმებულთა მიმართ:**

- თანამშრომლები უზრუნველყავით სათანადო კოლექტიური დაცვის საშუალებებით:
  - დეზობარიერი - შესასვლელში, მოსასვენებელი/საკვები ფართის წინ;
  - დამცავი გამჭვირვალე ბარიერები - თანამშრომლების მესამე პირებთან ურთიერთობის შემთხვევაში (მიმღებში);
- თანამშრომლები აღჭურვეთ სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
  - პირბადე;
  - ხელთათმანი;
  - ბახილები;
  - საჭიროების შემთხვევაში - სახის დამცავი ფარი;
  - სპეციფიკური სამუშაოს შემთხვევაში - სპეც. ტანსაცმელი.
- თანამშრომელთა ხელმისაწვდომ, თვალსაჩინო ადგილას განთავსდეს ჰიგიენური საშუალებებით დაცვის ღონისძიებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მათ შორის - ხელის დაბანის, ნიღბის, ბახილების და ხელთათმანის მორგების, ტარების და მოცილების წესები;
- დასაქმებულებს მიეწოდოთ ინფორმაცია ვირუსთან დაკავშირებული ყველა საკითხისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ (შესაძლებელია აუდიო ვიდეო სისტემის მეშვეობით):
- სამუშაო სივრცეში მუდმივად ხდებოდეს ისეთი ზედაპირების დეზინფეცირება, რომელთანაც უწევს შეხება დასაქმებულს;
- ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. სასტუმრო ვალდებულია მოახდინოს ჰიგიენური ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;
- მოხდეს მუშაობის მიმდინარეობისას, სამუშაო დროის განმავლობაში დასაქმებულთა სანიტარული შესვენებებით უზრუნველყოფა;
- განთავსდეს დასაქმებულთათვის თვალსაჩინო ადგილას ხელის ჰიგიენური საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები.;
- პერსონალს, რომელიც პასუხისმგებელია სასტუმროს დასუფთავებაზე მიეწოდოთ დამატებითი ინფორმაცია დასუფთავების უსაფრთხო ღონისძიებების შესახებ, ჰიგიენური საშუალებების გამოყენებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მოხმარების წესების შესახებ.

StopCoV.ge 1505 116 001

დასაქმებულთა ვალდებულებები:

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას.

შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- სამუშაო პროცესი განახორციელეთ დამსაქმებლის/შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2 მ-სა);
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება.

საინფორმაციოდ: გამოსაყენებელი კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

ვინაიდან სასტუმროში ვიზიტორებს პირველადი კონტაქტი აქვთ რეგისტრატორებთან, რეკომენდირებულია თითოეული მათგანი აღიჭურვოს სამედიცინო ნიღბითა და ხელთათმანით, ასევე რეგისტრატორის მაგიდასთან დამატებით დამონტაჟდეს დროებით გამჭვირვალე ტიპის ბარიერი, რათა მაქსიმალურად იქნას აცილებული წვეთოვანი გზით ინფიცირების რისკი.

დასუფთავებაზე პასუხისმგებელმა პერსონალმა თავი უნდა აარიდოს მჭიდრო კონტაქტს სტუმრებთან. მათ უნდა ეკეთოთ ხელთათმანები დალაგების დროს და ხელთათმანების გაკეთებამდე და მოხსნის შემდეგ გამოიყენონ სპირტის შემცველი ხელის სადეზინფექციო საშუალება. უსაფრთხოების დამატებითი ზომის სახით, დასუფთავებაზე პასუხისმგებელმა პერსონალმა შეიძლება აატაროს სპეციალური ნიღაბი ოთახის დალაგების დროს. ოთახში შესვლამდე, დასუფთავების თანამშრომელმა უნდა ჰკითხოს სტუმარს, თუ როგორ გრძნობს თავს და სთხოვოს, მას გაიკეთოს ნიღაბი.

StopCoV.ge 1505 116 001

კორონავირუსზე სავარაუდო სიმპტომების მქონე სტუმარი

თუ სტუმროში რომელიმე ვიზიტორს აღენიშნება კორონავირუსისთვის დამახასიათებელი სავარაუდო სიმპტომი, სასტუმროს პერსონალი ვალდებულია ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს 112-ცხელ ხაზს.

ასეთ შემთვევაში პერსონალი უნდა მოერიდოს აღნიშნულ სტუმრებთან მჭიდრო კონტაქტს, ხოლო სტუმრისთვის, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა გამოიყოს დროებითი იზოლირებული ოთახი, სხვა მომხმარებლებთან კონტაქტის შესამცირებლად.

იმ შემთხვევაში, თუ სასტუმროს პერსონალს მოუწევს აღნიშნულ სავარაუდო სიმპტომის მქონე პირთან კონტაქტი (მაგ.: საკვების მიწოდება), მნიშვნელოვანია დაცული იქნეს სათანადო დისტანცია და გამოიყენოს სპეციალური დამცავი აღჭურვილობა.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 15 05 116 001